

ეს მცირე წერილი სამადლობელია დიდი ქალბატონის, აკადემიკოს ნინო ჯავახიშვილის მიმართ.

სულ მცირე დააკლდა საუკუნის გასრულებამდე. . .

უკანასკნელი ორი ათწლეულის მანძილზე ის იყო საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის უხუცესი წევრი, და არა მხოლოდ ასაკით, არამედ სიდარბაისლით, სიბრძნით, თავდაჭერით...

წარმომავლობით ნინო ჯავახიშვილი დიდი უნივერსიტეტელის ოჯახიდან გახლდათ: მისი მამა, აკადემიკოსი ალექსანდრე ჯავახიშვილი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში გეოგრაფიის ფაკულტეტის დამფუძნებელი და გეოგრაფიის კათედრის პირველი გამგე იყო.

ქალბატონმა ნინომ, თავის მასწავლებელთან, ქართული მეცნიერული ანატომიის ფუძემდებელთან ალექსანდრე ნათიშვილთან ერთად შექმნა, შემდეგ ათწლეულთა განმავლობაში უწინამძღვრა, რუდუნებით სრულყო, სამედიცინო-ბიოლოგიური მორფოლოგიის ფლაგმანად დაამკვიდრა და საერთაშორისო სამეცნიერო არენაზე გაიყვანა მორფოლოგიის ინსტიტუტი და ქართული მორფოლოგიური სკოლა.

2010 წელს, აკადემიკოსმა ნინო ჯავახიშვილმა, ალექსანდრე ნათიშვილის მორფოლოგიის ინსტიტუტის როგორც უკვე საპატიო დირექტორმა და ყველაზე ავტორიტეტულმა ქართველმა ანატომოსმა, მხარი დაუჭირა მისი ნაამაგარი ინსტიტუტის ინტეგრაციას ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტთან.

თითქმის საუკუნეს მიტანებულმა სახელმძღვანელომ მეცნიერმა და მოღვაწემ დასტოვა ეს ასპარეზი, როგორც დიდმა უნივერსიტეტელმა.

ნათელში იყავ, დიდო ქალბატონო!

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი, აკადემიკოსი ვლადიმერ პაპავა



ნინო

ჯავახიშვილი

100

აკადემიკოს ნინო ჯავახიშვილის დაბადებიდან 100 წლისთავისადმი მიძღვნილი
სამეცნიერო სიმპოზიუმი

თსუ ალექსანდრე ნათიშვილის მორფოლოგიის ინსტიტუტში
მიმდინარე ტრანსლაციური ბიო-სამედიცინო კვლევების პირველი
შედეგები

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის სააქტო დარბაზი
მისამართი: თბილისი, რუსთაველის გამზირი № 52, III სართული

26 ნოემბერი, 2014 წელი

13:00

1. სიმპოზიუმის გახსნა:

აკადემიკოსი თეიმურაზ ნანიშვილი

13:10

2. ფარისებრი ჯირკვლის სიმსივნეების და დისპლაზიების მორფოლოგიური დახასიათება
უჯრედთა რეცეპტორული სტატუსის შეფასებით ონკოლოგიური რისკის ადრეული
დიაგნოსტიკის და პრევენციის მიზნით

პროფ. ლიანა გოგიაშვილი, პროფ. ზურაბ ცაგარელი - თსუ მორფოლოგიის ინსტიტუტი

კრიტიკული შეფასება - *პროფ. თემურ ჯორბენაძე - ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტი*

13:40

3. საქართველოში ძუძუსა და ფილტვის კიბოს მოლეკულური ეპიდემიოლოგია -
მოლეკულური და მორფოლოგიური კლასიფიკაციების კორელაცია

*მედიცინის დოქტორი მიხეილ ჯანგაძე, მედიცინის დოქტორი ნინო გორდაძე - თსუ
მორფოლოგიის ინსტიტუტი*

კრიტიკული შეფასება - *პროფ. დიანა ძიძიგური - ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტი*

14:10

4. რეზექციის შემდგომ დარჩენილი და გადანერგილი ნახევარი ღვიძლის რეგენერაცია ანუ რეგენერაცია დენერვაცია–დელიმფატიზაციის ფონზე. ჰეპატოციტები თუ ლეროვანი უჯრედები? კითხვები, რომელიც მოითხოვს პასუხს

პროფ. დიმიტრი კორძია, მედიცინის დოქტორი მანანა კაკაბაძე - თსუ მორფოლოგიის ინსტიტუტი

კრიტიკული შეფასება - *პროფ. ზურაბ კაკაბაძე - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი*

14:40

5. ორგანოთა კონსერვაციის ახალი მეთოდის შემუშავება

პროფ. ნოდარ ხოდელი, მედიცინის დოქტორი ზურაბ ჩხაიძე - თსუ მორფოლოგიის ინსტიტუტი

კრიტიკული შეფასება - *პროფ. ლიანა კიკალიშვილი - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი*

15:10

6. დემოგრაფიული დაბერების სოციალურ-ეკონომიკური პრობლემები საქართველოში და მათი გადაწყვეტის გზების ძიება

მედიცინის დოქტორი სიმონ დალაქიშვილი, მედიცინის დოქტორი ნაირა სალამატინა - თსუ მორფოლოგიის ინსტიტუტი

კრიტიკული შეფასება - *პროფ. ავთანდილ სულაბერიძე - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი*

15:40

7. სიმპოზიუმის შეჯამება

აკადემიკოსი ფრიდონ თოდუა, აკადემიკოსი რომან შაქარიშვილი, აკადემიკოსი ლავრენტი მანაგაძე